სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 30

2019 წ. "25" 11

ქ.თბილისი

ა(ა)იპ-ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2019 წლის 18 ნოემბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა ა(ა)იპ-ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1571991) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 2 ოქტომბრის №38 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება სტუდენტთა ადგილების ზღვრული ოდენობის განსაზღვრისა და 2 წლის ვადაში დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შუამდგომლობის საკითხებს. საჩივრით მოთხოვნილია ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.
სააპელაციო საბჭომ განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 26^3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის მოთხოვნებს და ამავე დებულების 26^3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას ა(ა)იპ-ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის 2019 წლის 18 ნოემბრის №1571991 სააპელაციო საჩივარი.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

თავმჯდომარე
ნოდარ პაპუკაშვილი